ეკონომიკის საფუძვლები

ლექცია 1

ეკონომიკური აზროვნების სტილი
ეფექტიანობა, გაცვლა და შედარებითი უპირატესობა

ინფორმაცია

- ლექციის სლაიდები შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ შემდეგი ვებ–გვერდიდან:

www.lashachochua.yolasite.com

- შეკითხვების არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ მეილი მომწეროთ შემდეგ მისამართზე:

l.chochua@freeuni.edu.ge

- თუ სურვილი გაქვთ გქონდეთ სახელმძღვანელოს ელ–ვერსია, მომწერეთ მეილი და გადმოგიგზავნით

ეკონომიკური აზროვნების სტილი

- წესრიგის ამოცნობა
- საზოგადოებრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა
- ინტელექტუალური ინსტრუმენტი
- თანამშრომლობა ურთიერთქმედების საშუალებით
- ეკონომიკური თეორია მიკერძოებულობა
- თამაშის წესები

მთავარი კითხვები

- საზოგადოებრივი თანამშრომლობის რა მექანიზმი განაპირობებს წესრიგს, რომელიც ცივილიზაციის საფუძველია?!

- როგორ ხდება, რომ პირადი ინტერესებით მოქმედი ინდივიდები ახერხებენ საზოგადოებრივ თანამშრომლობას, ყოველგვარი დირექტივების გარეშე?!

- შეგვიძლია, თუ არა ამოვიცნოთ წესრიგი მიმდინარე სოციალურ პროცესებში?!

- საზოგადოებრივი თანამშრომლობის მექანიზმის გაგება დაგვეხმარება, თუ არა ეკონომიკური პროცესების გაგებაში?!

წესრიგის ამოცნობა

- არის პიკის საათებში საგზაო მოძრაობა საზოგადოებრივი თანამშრომლობის მაგალითი?

- მიუხედავად იმისა, რომ პიკის საათებში საგზაო მოძრაობა ბევრისთვის ასოცირდება საცობებთან, მასში არის სპონტანური წესრიგი – მოძრაობა

- პროცესს არავინ მართავს, ყველა ინდივიდს საკუთარი მიზანი აქვს, ინდივიდებმა არაფერი იციან სხვა ადამიანების მიზნების შესახებ

- საზოგადოებრივი თანამშრომლობა – საგზაო წესების დაცვა და უსაფრთხო მოძრაობა

საზოგადოებრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა

- ცივილიზაცია ეფუძნება საზოგადოებრივ თანამშრომლობას, რა უზრუნველყოფს მას?

- თომას ჰობსი – მხოლოდ ძალას შეუძლია ინდივიდები აიძულოს თავი შეიკავონ ერთმანეთზე მუდმივი თავდასხმებისაგან

  – "ბუნებითი მდგომარეობა" – კანონები არ არსებობს

  – ასეთ მდგომარეობაში ყველა ინდივიდს აქვს უფლება მოკლას სხვა ინდივიდი. შესაბამისად, ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი არის ძალადური სიკვდილის შიში

  – ბრძოლა ყველას ყველას წინააღმდეგ

- პოლიტიკური მმართველი აუცილებელია საზოგადოებრივი თანამშრომლობისთვის

საზოგადოებრივი თანამშრომლობის მნიშვნელობა

- განსხვავებული მიდგომა ჩამოაყალიბა ადამ სმიტმა

- მას მიაჩნდა, რომ ადამიანის ქცევის განმსაზღვრელი ფაქტორი არის პირადი ინტერესები, მაგრამ არა ეგოიზმი

- პირადი ინტერესების ეგოიზმში გადაზრდას, სმიტის აზრით, ხელს უშლის:
  - სხვა ადამიანებისადმი სიმპატია
  - ეთიკის ნორმები
  - კანონები
  - კონკურენცია

- ადამ სმიტმა შექმნა თეორიული ბაზა იმის გასაგებად, თუ როგორ ხდება, რომ პირადი ინტერესებით მოქმედი ინდივიდები უზრუნველყოფენ საზოგადოებრივ წესრიგს

ინტელექტუალური ინსტრუმენტი

- რა არის ეკონომიკური აზროვნების წესი?

- დაშვება: ნებისმიერი ადამიანი ცდილობს მდგომარეობის გაუმჯობესებას. ადამიანები რაციონალურები არიან. შესაბამისად, მათი ქმედებები ორიენტირებულია სარგებლის მიღებაზე

- ადამაინების ქმედებები ლიმიტირებულია რესურსების შეზღუდულობით. მათ ყოველთვის უწევთ არჩევანის გაკეთება – ეკონომია

დაიმახსოვრეთ: ნებისმიერი სოციალური ფენომენი არის ინდივიდების მიერ განხორციელებული ქმედებების და მათ შორის უერთიერთქმედებების შედეგი. არჩევანს აკეთებს მხოლოდ ინდივიდები. არ არსებობს, მაგალითად, სახელმწიფოს არჩევანი

ინტელექტუალური ინსტრუმენტი

- მოცემულობა – რესურსების შეზღუდულობა
- დაშვება – რაციონალური ინდივიდი

- როგორ ღებულობენ ადამიანები გადაწყვეტილებებს?



თანამშრომლობა ურთიერთქმედების საშუალებით

- როგორ ხდება საზოგადოებაში პირადი ინტერესების მქონე ადამიანების ქმედებების კოორდინაცია?

- როგორ შეიძლება, რომ პირადი ინტერესით მოქმედმა ინდივიდმა შექმნას ალტერნატივა სხვა ადამიანებისთვის?

- საზოგადოებრივი კოორდინაციის მექანიზმის სადემონსტრაციოდ ჩავატაროთ საკლასო ექსპერიმენტი და შევეცადოთ გავცეთ პასუხები დასმულ შეკითხვებს

- საკლასო ექსპერიმენტი

თამაშის წესები

- ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი არსებობა და საზოგადოებრივი თანამშრომლობა შეუძლებელია ბაზისური წესების დაცვის გარეშე

- კერძო საკუთრების უფლების დაცვა არის ერთ–ერთი ასეთი მნიშვნელოვანი წესი

- რატომ არის მნიშვნელოვანი კერძო საკუთრების უფლება?

- რით არის განპირობებული მისი მნიშვნელობა?

- რა როლი შეიძლება ქონდეს საკუთრების უფლებებს საბაზრო ეკონომიკაში?

- საკლასო ექსპერიმენტი

დასკვნები თუ მიკერძოება?!

- ეკონომიკის თეორია ორიენტირებულია ინდივიდის ქცევის შესწავლაზე და ეფუძნება შემდეგ თავისებურებებს:
  - მხოლოდ ინდივიდები აკეთებენ არჩევანს
  - გადაწყვეტილებას ღებულობენ მოსალოდნელი სარგებლის და ხარჯების ერთმანეთთან შედარებით
  - ინდივიდებს შორის ინტერაქცია საჭიროებს გარკვეული წესების არსებობას
  - ადამიანის არჩევანი აისახება შედეგებში

- არის ეს ყველაფერი ჭეშმარიტება, თუ ცრურწმენებია?!

- პასუხი:
  - სადღაც უნდა დავიწყოთ, თუნდაც ცუდი თეორია უკეთესია, ვიდრე თეორიის არ არსებობა
  - გარკვეული დოზით ყოველთვის ვცდებით
  - მიზეზ–შედეგობრივი კავშირების დასადგენად თეორია გვჭირდება

ეფექტიანობა, გაცვლა და შედარებითი უპირატესობა

- რა არის სიმდიდრე?
- ქმნის თუ არა ვაჭრობა სიმდიდრეს?
- ეფექტიანობა
- აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა
- წარმოების შესაძლებლობის მრუდი და გაცვლის არსი, შედეგები
- ინდივიდუალური ვაჭრობიდან საერთაშორისო ვაჭრობამდე

რა არის სიმდიდრე?

- სიმდიდრე ეკონომიკური თვალსაზრისით ისაა, რასაც ადამიანები აფასებენ

- “სიმდიდრე=მატერიალურ დოვლათს” მცდარი მიდგომაა

- სიმდიდრის და მატერიალური დოვლათის გაიგივება საშუალებას არ გვაძლევს მთლიანად დავინახოთ სხვა და სხვა ეკონომიკური პროცესის მნიშვნელობა – მაგალითად, ვაჭრობის როლი სიმდიდრის შექმნაში

- ძველად ვაჭრობა არ ითვლებოდა სასარგებლო საქმიანობად, რადგან ადამიანებს მიაჩნდათ, რომ შეუძლებელია გაცვლით სიმდიდრის შექმნა

- შევეცდებით ვაჩვენოთ ამ მიდგომის აბსურდულობა

ვაჭრობა

- ჯერ კიდევ არისტოტელეს დროიდან, ადამიანები თლიდნენ, რომ ნებაყოფლობითი გაცვლა მხოლოდ თანაბარ ფასეულობათა გაცვლაა
- სინამდვილეში კი საპირისპირო არის მართებული
- ვაჭრობისას თითოეული მხარე ცდილობს მიიღოს მისთვის რაიმე უფრო ფასეული და სანაცვლოდ გასცეს ნაკლებ ფასეული
- ფასეულობა (ღირებულება) სუბიექტური ცნებაა
- განვიხილოთ მაგალითი:

ჯეკისთვის: ხელთათმანის ღირებულება, გაყოფილი ბურთის ღირებულებაზე, ერთზე მეტია.
ჯიმისთვის: ბურთის ღირებულება, გაყოფილი ხელთათმანის ღირებულებაზე, ასევე ერთზე მეტია.

- დაიმახსოვრეთ:

ყოველი არჩევანი გარკვეულ მსხვერპლს და ალტერნატიულ დანახარჯებს გულისხმობს.

ალტერანტიული დანახარჯი

- წარმოიდგინეთ, რომ ლექციის დასრულების შემდეგ გაქვთ სამი შესაძლებლობა: წახვიდეთ კინოში, წახვიდეთ თეატრში, ან წახვიდეთ სახლში და იმეცადინოთ. სამივეს ერთდროულად ვერ აირჩევთ.

- თუ კინოში წახვალთ, მაშინ უარს ამბობთ თეატრზე და სახლში მეცადინეობაზე

- თითოეულ გადაწყვეტილებას ექნება გარკვეული ღირებულება თქვენთვის

- გადაწყვეტილებას მიიღებთ იმის მიხედვით, თუ რომელი არჩევანი გესიამოვნებათ უფრო მეტად

- ვთქვათ, გადაწყვიტეთ კინოში წასვლა. რა არის კინოში წასვლის ალტერნატიული დანახარჯი?

- უარყოფილ არჩევანებს შორის საუკეთესო არჩევანის ღირებულება თქვენთვის

ეფექტიანობა

შედეგის ღირებულების შეფარდება დანახარჯების ღირებულებასთან ეფექტიანობის გაზომვის ერთადერთი მეთოდია

$$\text{ეფექტიანობა} = \frac{\text{შედეგის ღირებულება}}{\text{დანახარჯების ღირებულება}}$$

აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობა

- აბსოლუტური და შეფარდებითი უპირატესობის ცნებების შინაარსი გასაგებად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

	გასი	ჰარი
გაზონი	40 წუთი	120 წუთი
ყვავილნარი	80 წუთი	120 წუთი

- ვის აქვს აბოსლუტური უპირატესობა გაზონის გაზონის გაკრეჭვაში? ყვავილნარის მოვლაში?
- ვის აქვს შეფარდებითი უპირატესობა გაზონის გაკრეჭვაში? ყვავილნარის მოვლაში?

- რა გარიგება შიძლება დაიდოს გასის და ჰარის შორის?

წარმოების შესაძლებლობის მრუდი და გაცვლის არსი, შედეგები

- განვიხილოთ მაგალითი:

- ჯონის შეუძლია აწარმოოს: 10 ლუდი ან 5 ღვინო
- ჰარის შეუძლია აწარმოოს: 3 ლუდი ან 4 ღვინო





ვაჭრობის შედეგები

- არის, თუ არა მომგებიანი ვაჭრობა ჯონის და ჰარის შორის?
- რა არის წარმოებაში სპეციალიზაციის შედეგი?





- სპეციალიზაცია ნიშნავს იმ საქმის კეთებას, რომელშიც შეფარდებითი უპირატესობა გაქვს

ინდივიდუალური ვაჭრობიდან საერთაშორისო ვაჭრობამდე

- ჯონის და ჰარის შორის ვაჭრობის პრინციპები შიძლება განვაზოგადოთ ქვეყნებზე

- ეს არ ნიშნავს, რომ ქვეყნები ვაჭრობენ ერთმანეთთან. ერთ ქვეყანაში მცხოვრები ადამაინები ვაჭრობენ მეორე ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებთან

- საერთაშორისო ვაჭრობაში შემოდის ტრანზაქციული ხარჯების ცნება

- ტრანზაქციული ხარჯები:
  - ტრანსპორტირების ხარჯები
  - პარტნიორის მოძიების ხარჯები
  - პარტნიორთან მოლაპარაკების ხარჯები

ბაზარი როგორც აღმოჩენების პროცესი

- თავისუფალი ბაზარი, ადამიანებს აძლევს საშუალებას იპოვნონ მათი შეფარდებითი უპირატესობები გაცვლის პროცესის დახმარებით

- კონტაქტი დაამყარონ იმ ადამიანებთან, რომლებთანაც ვაჭრობა მომგებიანია

- ვაჭრობის თვაისუფლება, ეფუძნება რა ვოლუნტარისტულ გაცვლას, ყოველთვის აუმჯობესებს ადამიანების კეთილდღეობას

წასაკითხი მასალა

თავი 1 და 2

საშიანო დავალება:

თავი 1 – ამოცანები: 2, 5, 9, 11
თავი 2 – ამოცანები: 3, 5, 7, 8, 15